



ქრისტიანული ეთიკა

მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება

კონსერვატიული მოძრაობა

წესდება

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.1 მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება კონსერვატიული მოძრაობა (შემდგომში პარტია) არის საერთო მსოფლმხედველობრივ და ორგანიზაციულ საფუძველზე შექმნილი მოქალაქეთა ნებაყოფლობითი, დამოუკიდებელი პოლიტიკური გაერთიანება, რომელიც თავის საქმიანობას ახორციელებს საქართველოს კონსტიტუციის, „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის, მოქმედი კანონმდებლობისა და წესდების შესაბამისად.

1.2 პარტია თავისი მიზნებიდან გამომდინარე მოქმედებს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.

მუხლი 2. პარტიის სახელწოდება

მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების სრული სახელწოდებაა: მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება კონსერვატიული მოძრაობა.

მუხლი 3. პარტიის სამართლებრივი სტატუსი

3.1 მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება კონსერვატიული მოძრაობა წარმოადგენს საქართველოს კონსტიტუციისა და „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად შექმნილ არასამეწარმეო იურიდიულ პირს.

3.2 მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება კონსერვატიული მოძრაობას აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, საკუთარი ქონება, საანგარიშსწორებო და სხვა სახის ანგარიშები საბანკო დაწესებულებებში;

3.3 მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება კონსერვატიული მოძრაობა იქმნება განუსაზღვრელი ვადით.

მუხლი 4. პარტიის მისამართი და რეკვიზიტები

3.1 მისამართი: ქ. ფოთი, ლარნაკას ქუჩა N3

3.2 ელ-ფოსტა:

3.3 ტელეფონი:

მუხლი 5. პარტიის საქმიანობის მიზნები (ამოცანები) და მათი განხორციელების ფორმები

5.1 პარტიის მიზნებია:

ა) დამოუკიდებელი, სოციალური, ეროვნულ ღირებულებებზე დაფუძნებული, ქრისტიანულ - დემოკრატიული და კონსერვატიული იდეოლოგიის მქონე სახელმწიფოს ჩამოყალიბება;

ბ) ქრისტიანობისა და მართლმადიდებლური ეკლესიის განსაკუთრებული სტატუსის განსაზღვრა ქართულ კანონმდებლობაში;

გ) ძლიერი აღმასრულებელი ხელისუფლების ფორმირება და საკანონმდებლო ორგანოს დაკომპლექტების ახალი წესი, სრული მაჟორიტარული სისტემით და ვადამდე უკან გამოწვევის მექანიზმით, რომელიც უზრუნველყოფს ძალაუფლების რეალურად ხალხის ხელში გადასვლას;

დ) კულტურული და ეკონომიკური სტაბილურობა, ახალი საბაზრო ურთიერთობების ჩამოყალიბება და სასურსათო და ენერგეტიკული უსაფრთხოება;

ე) მედიისა და განათლების სფეროში გარე ჩარევის აკრძალვა და საზღვარგარეთიდან დაფინანსებული სტრუქტურების საქმიანობის საკანონმდებლო დონეზე კონტროლი;

ვ) სამხედრო მოსამსახურეების და სამართალდამცავი პირების პრივილეგირება/შელავათების დაწესება სამართლიანი იერარქიის გათვალისწინებით;

ზ) ქრისტიანული დემოკრატიის დამკვიდრება საერთაშორისო სამართლის ნორმების გათვალისწინებით;

5.2 პარტია საქმიანობას ახორციელებს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე პოლიტიკური მსოფლმხედველობის გავრცელების, მხარდამჭერთა შემოკრების, არჩევნებში მონაწილეობის, ხელისუფლების განხორციელებისა და კანონმდებლობით ნებადართული სხვა ფორმების გამოყენებით;

5.3 პარტიის მიზნების განხორციელება ემყარება საქართველოს კონსტიტუციას, მოქმედ კანონმდებლობას, საერთაშორისო სამართლის ნორმებს, ზოგადსაკაცობრიო მორალისა და სამართლიანობის პრინციპებს.

მუხლი 6. პარტიაში წევრების მიღებისა და პარტიის წევრობის შეწყვეტის წესი

6.1 პარტიის წევრობა ეფუძნება ნებაყოფლობითობის პრინციპს.

6.2 პარტიის წევრი შეიძლება იყოს საარჩევნო უფლების მქონე საქართველოს მოქალაქე, რომელიც იზიარებს პარტიის მიზნებს, ხედვებსა და იდეოლოგიას და დაიცავს ამ წესდებით დადგენილ მოთხოვნებს.

6.3 პარტიის წევრად მოქალაქეთა მიღება ხდება პირადი წერილობითი განცხადების საფუძველზე, არანაკლებ პარტიის ერთი წევრის რეკომენდაციით, განცხადების მიღებიდან 15 კალენდარული დღის განმავლობაში;

6.4 განმცხადებლის პარტიის წევრად მიღებაზე გადაწყვეტილებას იღებს პარტიის სარევიზიო კომისია, გადაწყვეტილების მიღების წესი და ფორმა განისაზღვრება წინამდებარე წესდებით;

6.5 პარტიიდან გასვლა თავისუფალია. პარტიის წევრობიდან გასვლა ხორციელდება პირადი წერილობითი განცხადების საფუძველზე;

6.6 პარტიის წევრისათვის წევრობის შეწყვეტის, მათ შორის გარიცხვის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს პარტიის სარევიზიო კომისია, გადაწყვეტილების მიღების წესი და ფორმა განისაზღვრება წინამდებარე წესდებით;

6.7 პირადი განცხადების საფუძველზე წევრობის შეწყვეტის შემთხვევაში პირს პარტიის წევრობა შეუწყდება განცხადების პარტიის სარევიზიო კომისიისათვის წარდგენის დღიდან, ხოლო გარიცხვის შემთხვევაში, გარიცხვის შესახებ გადაწყვეტილების მიღების დღიდან.

6.8 პარტიის წევრობის შეწყვეტის საფუძველებია: პარტიიდან გასვლა; პარტიიდან გარიცხვა; გარდაცვალება; გარემოების დადგომა, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის თანახმად გამორიცხავს მოქალაქეთა პოლიტიკურ გაერთიანებაში პირის წევრობას. ამ უკანასკნელ შემთხვევაში, პირს პარტიის წევრობა უწყდება შესაბამისი გარემოების დადგომის მომენტიდან. პარტიის წევრობის შეწყვეტის შემთხვევაში, პირი ტოვებს პარტიაში დაკავებულ ნებისმიერ თანამდებობას.

6.9 პარტიიდან წევრის გარიცხვის საფუძველია პარტიის წესდების მიზნების საწინააღმდეგო საქმიანობის განხორციელება ან წესდებით დადგენილი მიზნების საწინააღმდეგო განცხადების გაკეთება ან პარტიის რეკრუტაციის შელახვა ან პარტიის საქმიანობის ხელშეშლა ან პარტიის პოლიტიკური საბჭო გადაწყვეტილებების აღუსრულებლობა/დაუმორჩილებლობა ან ქონებისათვის განზრახ ზიანის მიყენება;

6.10 პარტიის წევრის გარიცხვის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სარევიზიო კომისია. წევრის გარიცხვის შესახებ მიმართვა განხილვა 15 დღის ვადაში.

6.11 წევრად მიღებაზე უარის, წევრობის შეწყვეტისა და გარიცხვის შესახებ გადაწყვეტილება, პირმა შესაძლოა, მისი ჩაბარებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში გაასაჩივროს პარტიის პოლიტიკურ საბჭოში. საჩივრის განხილვის წესს ამტკიცებს პოლიტიკური საბჭომის მიერ მიღებული რეგლამენტის შესაბამისად.

მუხლი 7. პარტიის წევრთა უფლებები და ვალდებულებები

7.1 პარტიის წევრს უფლება აქვს:

- ა) აირჩიოს და არჩეულ იქნეს პარტიის ორგანოებში;
- ბ) მონაწილეობა მიიღოს პარტიის ყრილობის მუშაობაში;
- გ) გაეცნოს პარტიის მართვის ორგანოების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს;
- დ) პარტიის მიზნებისთვის საჯაროდ გამოიყენოს პარტიის სიმბოლიკა;
- ე) საკუთარი სურვილის შესაბამისად დატოვოს პარტიის წევრობა;
- ვ) მონაწილეობა მიიღოს პარტიის ორგანიზებულ ღონისძიებებში;
- ზ) მიმართოს პარტიის შესაბამის ორგანოს ან თანამდებობის პირს წერილობითი განცხადებით, რომელსაც მიმართვიდან 15 დღის ვადაში უნდა გაეცეს პასუხი;
- თ) დადგენილი წესით პარტიის ამოცანების განხორციელებისას ისარგებლოს პარტიის მატერიალურ-ტექნიკური რესურსით;
- ი) განახორციელოს საწევრო შენატანის გადახდა;
- კ) განახორციელოს კანონმდებლობით დადგენილი სხვა უფლებამოსილებები;

7.2 პარტიის წევრი ვალდებულია:

- ა) დაიცვას პარტიის წესდების მოთხოვნები, მიზნები, პარტიის ინტერესები და რეპუტაცია;

- ბ) არ გააკეთოს განცხადება, რომელიც ეწინააღმდეგება პარტიის მიზნებს, პოზიციას და ამოცანებს;
- გ) შეასრულოს პარტიის ორგანოებისა და თანამდებობის პირების გადაწყვეტილებები;
- დ) მოთხოვნის შემთხვევაში წარადგინოს ანგარიში გაწეული საქმიანობის შესახებ;
- ე) საჯარო წარმომადგენლობით ორგანოში არჩევის შემთხვევაში გაერთიანდეს პარტიის მიერ ან პარტიის მონაწილეობით შექმნილ ფრაქციაში;
- ვ) გაუფრთხილდეს პარტიის ქონებას და ფინანსურ სახსრებს;
- ზ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პარტიის წევრობასთან შეუთავსებელი თანამდებობის დაკავების შესახებ დაუყოვნებლივ შეატყობინოს პარტიის პოლიტიკურ საბჭოს;
- თ) ხელი შეუწყოს პარტიის მიზნებისა და ფუნქციების განხორციელებას;
- ი) პარტიის მოთხოვნისამებრ წარმოადგინოს დამატებითი მონაცემები ან მათი ცვლილებები წევრთა სიის ორგანიზების ინტერესებიდან გამომდინარე;
- კ) დაიცვას პარტიის თათბირის კონფიდენციალურობა და არ გაამჟღავნოს ის პარტიის შესაბამისი ორგანოების/პირების თანხმობის გარეშე;
- ლ) კეთილსინდისიერად შეასრულოს პარტიის წესდებისა და კანონმდებლობის შესაბამისად მისთვის დაკისრებული სხვა მოვალეობანი.

მუხლი 8. პარტიის სტრუქტურული ერთეულები

- 8.1 პარტიის უმაღლესი ხელმძღვანელი წარმომადგენლობითი ორგანოა - პარტიის ყრილობა;
- 8.2 პარტიის აღმასრულებელი ორგანოა - პარტიის პოლიტიკური საბჭო;
- 8.3 პარტიის სარევიზიო ორგანოა - სარევიზიო კომისია;
- 8.4 პარტიის უმაღლესი ხელმძღვანელი თანამდებობის პირია - პარტიის თავმჯდომარე;
- 8.5. გადაწყვეტილებების შესრულების ორგანიზებაზე პასუხისმგებელი პირია - პარტიის გენერალური მდივანი;

მუხლი 9. პარტიის ყრილობა, ყრილობის მოწვევისა და გადაწყვეტილების მიღების წესი

9.1 პარტიის ყრილობა არის პარტიის უმაღლესი ხელმძღვანელი წარმომადგენლობითი ორგანო, რომელიც მოიწვევა 4 წელიწადში ერთხელ, ასევე პარტიის ინტერესებიდან გამომდინარე დასაშვებია პარტიის ყრილობის რიგგარეშე მოწვევა;

9.2 რიგგარეშე ყრილობის მოწვევის ინიცირება შეუძლია: პარტიის თავმჯდომარეს, ასევე პარტიის წევრთა არანაკლებ ერთ მესამედს ან პარტიის პოლიტიკური საბჭოს წევრთა ნახევარზე მეტს პარტიის თავმჯდომარისთვის წერილობითი მიმართვის გზით;

9.3 პარტიის ყრილობას იწვევს პარტიის თავმჯდომარე, თითოეული წევრისთვის არანაკლებ ერთი თვით ადრე ყრილობის თარიღისა და დღის წესრიგის შესახებ ინფორმაციის წერილობითი ფორმით (ფოსტის, ელექტრონული ფოსტის, მოკლე ტექსტური შეტყობინების) ან ზეპირი ან სატელეფონო შეტყობინების გზით;

9.4 პარტიის ყრილობაში მონაწილეობის უფლება აქვს პარტიის ყველა წევრს ან პარტიის წევრთა არანაკლებ 5 წევრიან ჯგუფებს ერთი წარმომადგენლის მეშვეობით; წარმომადგენლის დანიშვნის შესახებ პარტიის წევრის/წევრების განცხადება უნდა წარედგინოს პარტიის პოლიტიკურ საბჭოს წერილობითი ფორმით.

9.5 პარტიის ყრილობა უფლებამოსილია თუ მას ესწრება პარტიის წევრთა ან წარმომადგენელთა ნახევარზე მეტი;

9.6 პარტიის ყრილობა გადაწყვეტილებას იღებს დამსწრეთა ხმების უმრავლესობით (ნახევარზე მეტით), თუ ამ წესდებით სხვა რამ არ არის დადგენილი;

მუხლი 10. პარტიის ყრილობის უფლებამოსილებები და გადაწყვეტილების გაფორმება

10.1 პარტიის ყრილობა იღებს და ამტკიცებს პარტიის წესდებას, შეაქვს ცვლილებები მასში, რის შესახებაც კანონით დადგენილ ვადაში ეცნობება მარეგისტრირებელ ორგანოს;

10.2 პარტიის ყრილობა იღებს გადაწყვეტილებას პარტიის სტრუქტურული ერთეულების შექმნასა და გაუქმებასთან დაკავშირებით;

10.3 პარტიის ყრილობა ირჩევს:

ა) პარტიის თავმჯდომარეს დამსწრეთა შემადგენლობის არანაკლებ სამი მეოთხედის უმრავლესობით;

- ბ) სარევიზიო კომისიის წევრებს დამსწრეთა შემადგენლობის უმრავლესობით;
- გ) გენერალურ მდივანს დამსწრეთა შემადგენლობის უმრავლესობით;
- დ) პოლიტიკური საბჭოს წევრებს დამსწრეთა შემადგენლობის უმრავლესობით;

10.4 პარტიის ყრილობა ირჩევს პარტიის თავმჯდომარეს წინამდებარე წესდებით გათვალისწინებული წესით;

10.5 პარტიის ყრილობა ამტკიცებს პარტიის პროგრამას და განსაზღვრავს მოქმედების სტრატეგიას;

10.6 პარტიის ყრილობა იღებს გადაწყვეტილებას პარტიის რეორგანიზაციისა და თვითლიკვიდაციის შესახებ;

10.7 პარტიის ყრილობა იღებს გადაწყვეტილებებს კანონით გათვალისწინებულ სხვა საკითხებზე.

10.8 პარტიის ყრილობა ისმენს პარტიის თავმჯდომარის, პარტიის პოლიტიკური საბჭოს, სარევიზიო კომისიისა და გენერალური მდივნის ანგარიშებს;

10.9 ყრილობის გადაწყვეტილებები ფორმდება ოქმის სახით, რომელსაც ხელს აწერენ თავმჯდომარე და მდივანი.

10.10 პარტიის ყრილობაზე, თავმჯდომარე პარტიის ყრილობის წევრებისაგან ნიშნავს ყრილობის მდივანს, რომელიც უზრუნველყოფს ყრილობის ოქმის შედგენას.

მუხლი 11. პარტიის პოლიტიკური საბჭო

11.1 პარტიის პოლიტიკური საბჭო წარმოადგენს პარტიის აღმასრულებელ ორგანოს;

11.2 პარტიის პოლიტიკური საბჭო შედგება პარტიის თავმჯდომარისა და არანაკლებ 3 წევრისაგან;

11.3 პარტიის პოლიტიკურ საბჭოს იწვევს პარტიის თავმჯდომარე თავისი ინიციატივით ან პარტიის პოლიტიკური საბჭოს წევრთა არანაკლებ 1/3-ის მოთხოვნით. პარტიის პოლიტიკური საბჭო უფლებამოსილია, თუ მას ესწრება პარტიის პოლიტიკური საბჭოს წევრთა სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი. პარტიის პოლიტიკური საბჭო გადაწყვეტილებას იღებს დამსწრეთა ხმების უმრავლესობით (ნახევარზე მეტით). ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადაამწყვეტია თავმჯდომარის ხმა.

11.4 პარტიის პოლიტიკური საბჭო მუშაობს რეგლამენტის შესაბამისად, რომელსაც ამტკიცებს პარტიის პოლიტიკური საბჭო;

11.5 პარტიის პოლიტიკური საბჭოს წევრებს 4 წლის ვადით ირჩევს პარტიის ყრილობა ამ წესდებით დადგენილი წესის მიხედვით;

11.6 პარტიის პოლიტიკური საბჭო მოიწვევა საჭიროებისამებრ, მაგრამ არანაკლებ წელიწადში ოთხჯერ;

მუხლი 12. პარტიის პოლიტიკური საბჭოს ფუნქციები

12.1 პარტიის პოლიტიკური საბჭო:

ა) იღებს გადაწყვეტილებებს პარტიის წესდებით გათვალისწინებული მიზნებისა და პროგრამის განსახორციელებლად საჭირო ღონისძიებების გასატარებლად;

ბ) უზრუნველყოფს ყრილობის გადაწყვეტილებათა აღსრულებას;

გ) ამტკიცებს პარტიის სტრატეგიულ და პროგრამულ დოკუმენტებს;

დ) ამტკიცებს პარტიის ბიუჯეტს;

ე) იღებს გადაწყვეტილებებს პარტიის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების განკარგვის თაობაზე;

ვ) იხილავს საჩივარს პარტიის სარევიზიო კომისიის გადაწყვეტილებაზე, წევრად მიღებაზე უარის, წევრობის შეწყვეტისა და გარიცხვის შესახებ;

ზ) პარტიის ყრილობას წარუდგენს პარტიის თავმჯდომარის, პარტიის პოლიტიკური საბჭოს წევრების, პარტიის სარევიზიო კომისიის წევრებისა და გენერალური მდივნის კანდიდატურებს ასარჩევად ყრილობის ჩატარებამდე 7 დღით ადრე;

თ) ყველა დონის არჩევნებისთვის იღებს გადაწყვეტილებას არჩევნებში მონაწილეობის, აგრეთვე საარჩევნო ბლოკსა და პოლიტიკურ კოალიციაში პარტიის გაწევრიანების შესახებ, ქმნის საარჩევნო შტაბს და ირჩევს მის ხელმძღვანელს, ამტკიცებს პარტიის მიერ წარსადგენ კანდიდატს და/ან კანდიდატთა სიას;

ი) ისმენს ანგარიშს პარტიის თავმჯდომარის, გენერალური მდივნისა და სარევიზიო კომისიის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ;

- კ) ამტკიცებს პარტიის ცენტრალური აპარატისა და რეგიონალური ქვედანაყოფების დებულებებს, ამ სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებს;
- ლ) აუქმებს პარტიის სტრუქტურული ერთეულების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას, რომელიც ეწინააღმდეგება პარტიის წესდებას და მიზნებს;
- მ) უფლებამოსილია წევრთა ნახევარზე მეტის წერილობითი მოთხოვნით მოითხოვოს პარტიის რიგგარეშე ყრილობის მოწვევა;
- ნ) იღებს გადაწყვეტილებას ყველა იმ საკითხზე, რომლის გადაწყვეტა არ განეკუთვნება პარტიის სხვა ორგანოს, თანამდებობის პირის ან სტრუქტურული ერთეულის განსაკუთრებულ უფლებამოსილებას;
- ო) იღებს გადაწყვეტილებას საწევროს შენატანის დაწესების თაობაზე და ადგენს მისი გადახდის წესს;
- პ) უფლებამოსილია განსაზღვროს პარტიის გენერალური მდივნის დამატებითი უფლებამოსილებები;
- ჟ) ასრულებს წესდებითა და კანონით გათვალისწინებულ სხვა ფუნქცია-მოვალეობებს.

12.2 პარტიის პოლიტიკური საბჭო ანგარიშვალდებულია ყრილობის წინაშე.

12.3 პარტიის პოლიტიკური საბჭოს წევრს უფლებამოსილება უწყდება პარტიის ყრილობის მიერ პარტიის პოლიტიკური საბჭოს ახალი შემადგენლობის არჩევის, პარტიის წევრობის შეწყვეტის ან გადადგომის მომენტიდან.

12.4. პარტიის პოლიტიკურ საბჭოს უფლებამოსილება უწყდება ყრილობის მიერ პარტიის პოლიტიკური საბჭოს ახალი შემადგენლობის არჩევის მომენტიდან.

12.5 პარტიის პოლიტიკურ საბჭოს ხელმძღვანელობს და სხდომებს წარმართავს პარტიის თავმჯდომარე;

მუხლი 13. სარევიზიო კომისია

13.1 პარტიის მაკონტროლებელი ორგანო არის სარევიზიო კომისია;

13.2 სარევიზიო კომისია შედგება არანაკლებ 3 წევრისაგან. სარევიზიო კომისიის წევრი არ შეიძლება იყოს პარტიის სხვა ორგანოს წევრი; სარევიზიო კომისიას ხელმძღვანელობს

სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე, რომელსაც თავისი შემადგენლობიდან წევრთა ხმების უმრავლესობით ირჩევს სარევიზიო კომისია.

13.3 სარევიზიო კომისიის წევრებს 4 წლის ვადით ირჩევს პარტიის ყრილობა ამ წესდებით დადგენილი წესის მიხედვით;

13.4 სარევიზიო კომისია მოიწვევა საჭიროებისამებრ, მაგრამ არანაკლებ წელიწადში ოთხჯერ; სარევიზიო კომისიის სხდომას იწვევს სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე;

13.5 სარევიზიო კომისია უფლებამოსილია, თუ მას ესწრება სარევიზიო კომისიის წევრთა სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

13.6 სარევიზიო კომისია გადაწყვეტილებას იღებს სხდომაზე დამსწრეთა ხმების უმრავლესობით (ნახევარზე მეტი). ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია სარევიზიო კომისიის თავმჯდომარის ხმა.

13.7 სარევიზიო კომისიის წევრს უფლებამოსილება უწყდება ყრილობის მიერ სარევიზიო კომისიის ახალი შემადგენლობის არჩევის, პარტიის წევრობის შეწყვეტის ან გადადგომის მომენტიდან.

მუხლი 14. სარევიზიო კომისიის უფლებამოსილებები

14.1 სარევიზიო კომისიის უფლებამოსილებაა პარტიის საფინანსო-საბუღალტრო დოკუმენტების რევიზია და პარტიის ყრილობისა და პარტიის პოლიტიკური საბჭოსათვის მათი წარდგენა.

14.2. სარევიზიო კომისია იღებს გადაწყვეტილებებს პარტიაში წევრების მიღებასთან ასევე პარტიის წევრისათვის წევრობის შეწყვეტასთან, მათ შორის პარტიიდან გარიცხვასთან დაკავშირებით, რომელიც შეიძლება გასაჩივრდეს ამ წესდებით დადგენილი წესით;

14.3 სარევიზიო კომისია უფლებამოსილია პარტიის შესაბამისი ორგანოებიდან გამოითხოვოს თავისი უფლებამოსილების განხორციელებისათვის საჭირო დოკუმენტაცია.

მუხლი 15. პარტიის თავმჯდომარე

15.1 პარტიის თავმჯდომარე არის პარტიის უმაღლესი ხელმძღვანელი თანამდებობის პირი და პარტიის ერთპიროვნული წარმომადგენელი.

15.2. პარტიის თავმჯდომარე თანამდებობრივად შედის პარტიის პოლიტიკური საბჭოს შემადგენლობაში, არის პარტიის პოლიტიკური საბჭოს თავმჯდომარე და წარმართავს მის მუშაობას.

15.3 პარტიის თავმჯდომარეს 4 წლის ვადით ირჩევს ყრილობა.

15.4 პარტიის თავმჯდომარის კანდიდატურის წამოყენების უფლება აქვს ყრილობის თავმჯდომარეს ან პარტიის პოლიტიკურ საბჭოს;

მუხლი 16. პარტიის თავმჯდომარის ფუნქციები

16.1 თავმჯდომარის ფუნქციები:

ა) პარტიის თავმჯდომარე ერთპიროვნულად წარმოადგენს პარტიას მესამე პირებთან ურთიერთობებში როგორც ქვეყნის შიგნით ასევე საგარეო ურთიერთობებში, გამოდის პოლიტიკური განცხადებებით პარტიის სახელით;

ბ) ხელმძღვანელობს პარტიას;

გ) წარმართავს პარტიის საქმიანობას საწესდებო მიზნების და ყრილობის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესაბამისად;

დ) საერთო ხელმძღვანელობას უწევს პარტიის სტრატეგიული დოკუმენტებისა და სამოქმედო გეგმების განხორციელებას;

ე) მართავს პარტიის ფინანსურ სახსრებს და სხვა მატერიალურ ქონებას. პასუხისმგებელია მის სწორ გამოყენებაზე;

ვ) ხელს აწერს პარტიის ოფიციალურ დოკუმენტებს, მესამე პირებთან გაფორმებულ მემორანდუმებსა და სხვა ტიპის შეთანხმებებს, გამოსცემს ბრძანებს,

ზ) ხელმძღვანელობს და წარმართავს პარტიის პოლიტიკური საბჭოს სხდომებს;

თ) უფლებამოსილია მასზე დაკისრებული ფუნქცია-მოვალეობები სრულად ან ნაწილობრივ შესასრულებლად გადასცეს პარტიის სხვა წევრებს;

ი) ახორციელებს წინამდებარე წესდებითა და კანონით გათვალისწინებულ სხვა ფუნქცია-მოვალეობებს;

16.2 პარტიის თავმჯდომარეს უფლებამოსილება უწყდება უფლებამოსილების ვადის გასვლის, გადადგომის ან პარტიის წევრობის შეწყვეტის მომენტიდან.

16.3 პარტიის თავმჯდომარის არყოფნის და/ან უფლებამოსილების შეწყვეტის შემთხვევაში, პარტიის თავმჯდომარის არჩევამდე მის მოვალეობას ასრულებს პარტიის გენერალური მდივანი.

მუხლი 17. პარტიის გენერალური მდივანი

17.1. პარტიის პოლიტიკური საბჭოსა და თავმჯდომარის გადაწყვეტილებების შესრულების ორგანიზებას უზრუნველყოფს პარტიის გენერალური მდივანი.

17.2. პარტიის გენერალურ მდივანს ირჩევს პარტიის ყრილობა.

17.3. პარტიის გენერალური მდივანი:

ა) პარტიის პოლიტიკურ საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს პარტიის სტრატეგიული და პროგრამული დოკუმენტების პროექტებს და ხელმძღვანელობს მათ განხორციელებას;

ბ) თავისი უფლებამოსილების ფარგლებში გამოსცემს ბრძანებებს;

გ) საქართველოს კანონმდებლობით და ამ წესდებით დადგენილი წესით განკარგავს პარტიის ფულად სახსრებს პარტიის თავმჯდომარესთან შეთანხმებით;

დ) პარტიის თავმჯდომარესთან შეთანხმებით პარტიის პოლიტიკურ საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს რეგიონალური (საქალაქო) ორგანიზაციების ხელმძღვანელების კანდიდატურებს;

ე) ნიშნავს და ათავისუფლებს პარტიის ცენტრალური აპარატის თანამშრომლებს, ხელს აწერს შრომით ხელშეკრულებებს;

ვ) ასრულებს საქართველოს კანონმდებლობისა და პარტიის წესდების შესაბამისად პარტიის პოლიტიკური საბჭოს გადაწყვეტილებებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

17.4. პარტიის გენერალური მდივანი ასრულებს პარტიის თავმჯდომარის მოვალეობას პარტიის თავმჯდომარის არყოფნის და/ან უფლებამოსილების შეწყვეტის შემთხვევაში, პარტიის ახალი თავმჯდომარის არჩევამდე.

17.5. პარტიის გენერალური მდივანი ანგარიშვალდებულია პარტიის ყრილობის, პოლიტიკური საბჭოსა და თავმჯდომარის წინაშე.

მუხლი 18. პარტიის სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები

18.1 პარტიამ შესაძლოა შექმნას პარტიის შემდეგი სტრუქტურული ერთეულები: პარტიის ცენტრალური აპარატი და რეგიონალური ქვედანაყოფები;

18.2 პარტიის ცენტრალური აპარატის ფუნქციაა პარტიის თავმჯდომარის, გენერალური მდივნისა და პარტიის პოლიტიკური საბჭოს საორგანიზაციო საკითხების მოწესრიგება და მათი ეფექტური ფუნქციონირებისათვის სხვა დავალებების შესრულება.

18.3 რეგიონალური ქვედანაყოფების ფუნქციაა რეგიონებში პარტიის საქმიანობის ხელშეწყობისათვის საჭირო ღონისძიებების განხორციელება;

მუხლი 19. პარტიის ქონება და მისი გამოყენების წესი

19.1 პარტიის ქონებას შეადგენს:

ა) საწევრო შენატანები;

ბ) შემოწირულებები;

გ) კანონით დადგენილ შემთხვევებში სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი თანხა;

დ) სიმბოლიკის დამზადებითა და გავრცელებით, ლექციების, გამოფენებისა და სხვა საჯარო ღონისძიებების მოწყობით, აგრეთვე საწესდებო მიზნებიდან გამომდინარე საგამომცემლო და სხვა საქმიანობიდან მიღებული წლიური შემოსავალი, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს მინიმალური საბაზო დაფინანსების ორმაგ ოდენობას.

19.2. პარტიის ქონების განკარგვა დასაშვებია მხოლოდ წესდებით განსაზღვრული ამოცანების განსახორციელებლად.

მუხლი 20: საქმიანობის შეწყვეტა

20.1 პარტიის საქმიანობა წყდება კანონით დადგენილი წესით მისი აკრძალვით, რეორგანიზაციით ან თვითლიკვიდაციის საფუძველზე.

20.2. პარტიის რეორგანიზაციის შემთხვევაში ქონება გადაეცემა რეორგანიზაციით შექმნის სუბიექტს;

20.3 პარტიის აკრძალვის ან თვითლიკვიდაციის შემთხვევაში პარტიის ქონების გადანაწილების საკითხს წყვეტს პარტიის ყრილობა.

მუხლი 21. პარტიის სიმბოლიკა

21.1. პარტიას გააჩნია ემბლემა, რომლის გამოყენების წესსა და პირობებს განსაზღვრავს პარტიის პოლიტიკური საბჭო.

21.2. პარტიის ემბლემის აღწერა:

პარტიის ემბლემა არის შინდისფრად გამოსახული 5 მცირე ზომის ჯვარი, რომელიც მთლიანობაში გამოსახულია ერთი დიდი ზომის ჯვარის სახით.

ჯვრის ქვემოთ, ქართულ ენაზე წარმოდგენილია პარტიის ოფიციალური დასახელება.

მუხლი 22. დასკვნითი დებულებები

პარტიის წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება პარტიის ყრილობაზე დამტკიცების გზით, რომელიც რეგისტრირდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ხელმოწერები